



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 37

2016 წლის 02 კვირის

ქ. თბილისი

"2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური
სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების
დამტკიცების შესახებ

„მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის
წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 20
თებერვლის N30 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“
ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7
მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და
ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების ნინო დემეტრაშვილის და ლოლიტა
შენგელიას სამსახურებრივი ბარათის (N217790, 02.03.2016) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს "2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი
ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული
პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)
იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართით
გათვალისწინებული პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი
კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 18 მარტისა;
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, თეა მყავანამეს ამ
ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

N	პროექტის შიფრი	ღონისძიების დასახელება
1	TG_1_2_2016	ევროპის ქიმიური კონგრესი/უახლესი ანალიზი ქიმიაში, მონათესავე სფეროებში და მათი პრაქტიკული გამოყენება
2	TG_30_3_2016	მე-16 საერთაშორისო მულტიდისციპლინური სამეცნიერო გეოკონფერენცია და გამოფენა
3	TG_93_4_2016	მე-18 საერთაშორისო ბიოტექნოლოგიების და ნანოტექნოლოგიების კონფერენცია
4	TG_49_2_2016	საერთაშორისო კონფერენცია „გარემო და განახლებადი ენერჯია“ / კლიმატის ცვლილება
5	TG_84_2_2016	მე-6-ე საერთაშორისო კონგრესი ქიმიურ, ბიოლოგიურ და გარემოსდაცვით მეცნიერებებზე
6	TG_9_1_2016	საერთაშორისო კონფერენცია "აკვიატებული რწმენების დინამიკა და პოლიტიკა მეთვრამეტე საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნემდე"
7	TG_8_2_2016	GEOMED 2016 მე-4 საერთაშორისო გეოგრაფიული სიმპოზიუმი
8	TG_31_2_2016	გეომეცნიერებათა კავშირის გენერალური ასამბლეა-2016/გეომეცნიერებები
9	TG_20_2_2016	23-ე საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი მიწისქვეშა ბიოლოგიისათვის
10	TG_37_4_2016	მეშვიდე საერთაშორისო რეგიონალური კონფერენცია ნეირომეცნიერებასა და ბიოფსიქიატრიაში „სტრესი და ქცევა“
11	TG_44_5_2016	ვაზის ფიზიოლოგიის და ბიოტექნოლოგიის მეათე საერთაშორისო სიმპოზიუმი
12	TG_48_6_2016	ფსიქოლოგიის, რელიგიის და სულიერების შუაწლის კონფერენცია
13	TG_56_6_2016	საერთაშორისო კონფერენცია ბიზნესსა და ეკონომიკაში
14	TG_87_3_2016	ელექტრონიკისა და ელექტრონული ინჟინერიის ინსტიტუტის (IEEE) მიერ ორგანიზებული 28-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი მიძღვნილი ნახევარგამტარული მოწყობილობებისა და ინტეგრალური წრედების საკითხებისადმი (ISPSD)